სატელევიზიო საეთერო დროის (wGRP) 2020-2021 წლების კონსოლიდირებული

ტენდერ(ებ)ის სატენდერო კომისიის სხდომის

ოქმი № CON200000163-3

ქ. თბილისი **„29“ დეკემბერი, 2020 წელი**

სხდომას ესწრებოდნენ:

ლევან რაზმაძე - სსიპ სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარე, სატენდერო კომისიის თავმჯდომარე;

ილია ბეგიაშვილი - საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის მინისტრის მოადგილე, სატენდერო კომისიის თავმჯდომარის მოადგილე;

ზურაბ ძნელაშვილი - საქართველოს ფინანსთა მინისტრის მოადგილე, სატენდერო კომისიის წევრი;

ჯუანშერ ბურჭულაძე - საქართველოს თავდაცვის მინისტრის მოადგილე, სატენდერო კომისიის წევრი;

გიორგი ბუთხუზი - საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის მოადგილე, სატენდერო კომისიის წევრი;

ირაკლი ლექვინაძე - სსიპ - საქართველოს კონკურენციის ეროვნული სააგენტოს თავმჯდომარე, სატენდერო კომისიის წევრი;

გიორგი პატარიძე - საქართველოს იუსტიციის მინისტრის მოადგილე, სატენდერო კომისიის წევრი.

სხდომის მდივანი:

ქეთევან ქადაგიძე - სსიპ სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს ცენტრალიზებული შესყიდვების დეპარტამენტის უფროსი.

დღის წესრიგი:

სატელევიზიო საეთერო დროის (wGRP) 2020-2021 წლების კონსოლიდირებული ტენდერის (CON200000163) ფარგლებში მომსახურების გაწევის ვადის გაგრძელება არაუგვიანეს 2021 წლის 15 აპრილის ჩათვლით.

განხილვა:

კომისიის თავმჯდომარემ, ლევან რაზმაძემ, კომისიის წევრებს შეახსენა, რომ სატელევიზიო საეთერო დროის (wGRP) 2020-2021 წლების კონსოლიდირებული ტენდერების (CON200000163) მოქმედების ვადა იწურება 2021 წლის 15 იანვარს.

ლევან რაზმაძემ კომისიის წევრებს მოახსენა, რომ ვინაიდან ბაზარზე ფუნქციონირებადი სატელევიზიო არხების რეიტინგებს შორის განხორციელდა რიგი ცვლილებები, რაც საჭიროებს კონსოლიდირებული ტენდერების ლოტებს შორის შესაბამის ასახვას, საკითხის მოკვლევისა და სატელევიზიო საეთერო დროის (wGRP) 2021 წლის კონსოლიდირებული ტენდერების სატენდერო პირობების სწორად ჩამოყალიბების

მიზნით, საჭიროა შესაბამისი ბაზრის სეგმენტის სიღრმისეული ანალიზი და მოკვლევა.
სატენდერო პირობების გონივრულად ჩამოყალიბების მიზნით ასევე აუცილებელია განხორციელდეს წინასამუშაო შეხვედრები და მოლაპარაკებები სატელევიზიო რეიტინგების გამზომველ კომპანიებთან მათი მომსახურების სახელმწიფო შესყიდვის მიზნით.
მსოფლიო პანდემიიდან გამომდინარე არსებული შეზღუდვების გამო, ბაზრის საფუძვლიანი მოკვლევის მიზნით ამ ეტაპზე ვერ მოხერხდა შესაბამის ბიზნეს სექტორის წარმომადგენლებთან წინასწარი სამუშაო შეხვედრებისა და მოლაპარაკებების გამართვა, რის გამოც შეფერხდა კვლევის პროცესი.

სატენდერო კომისიის თავმჯდომარემ, ლევან რაზმაძემ კომისიის წევრებს მოახსენა, რომ ბაზრის კვლევის ზემოაღნიშნული პროცესი ამ ეტაპისათვის არ დასრულებულა და საჭიროებს დამატებით დროის რესურსს. სატელევიზიო არხებთან მოლაპარაკებებისა და მათი თანხმობის გათვალისწინებით, აგრეთვე, 2020-2021 წლების განმავლობაში სატელევიზიო საეთეროს დროის (wGRP) სახელმწიფო შესყიდვის კონსოლიდირებული ტენდერების საშუალებით განხორციელების თაობაზე საქართველოს მთავრობის 2019 წლის 21 ნოემბრის N2394 განკარგულების მე-5 პუნქტის საფუძველზე, მიზანშეწონილია სატელევიზიო საეთერო დროის (wGRP) 2020-2021 წლების კონსოლიდირებული ტენდერის (CON200000163) მოქმედების ვადა გაგრძელდეს ახალი კონსოლიდირებული ტენდერების გამოცხადებამდე, მაგრამ არაუგვიანეს 2021 წლის 15 აპრილისა.

ზემოაღნიშნულთან დაკავშირებით შენიშვნები არ გამოთქმულა.

კომისიამ დაადგინა:

1. სახელმწიფოებრივი და საზოგადოებრივი მნიშვნელობიდან და საბიუჯეტო სახსრების რაციონალური ხარჯვის აუცილებლობიდან გამომდინარე, სატელევიზიო არხების თანხმობისა და საქართველოს მთავრობის 2019 წლის 21 ნოემბრის N2394 განკარგულების მე-5 პუნქტის გათვალისწინებით, 2020-2021 წლების კონსოლიდირებული ტენდერის (CON200000163) ფარგლებში მომსახურების გაწევის ვადა გაგრძელდეს 2021 წლის კონსოლიდირებული ტენდერების გამოცხადებამდე, მაგრამ არაუგვიანეს 2021 წლის 15 აპრილის ჩათვლით.

2. დაევალოს სსიპ სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს წინამდებარე ოქმის სახელმწიფო შესყიდვების ერთიან ელექტრონულ სისტემაში ატვირთვა.

ოქმის რედაქცია შეთანხმებულია სატენდერო კომისიის წევრებთან ელექტრონული ფოსტის მეშვეობით.